

საქართველოს კანონი

“სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. “სალიცენზიო და სანებართვო მოსაკრებლების შესახებ” საქართველოს 2003 წლის 12 აგვისტოს №2937 კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე 2003 წელი №26, მუხლი 195) შეტანილ იქნას შემდეგი ცვლილება:

მე-7 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. აზარტული და სხვა მოშვებიანი თამაშობების, კაზინოების (სამორინების) მოწყობის ნებართვა:

ა) წამახალისებელი ვათამაშების, ლოტოსა და ბინგოს მოწყობა (თითოეული სახეობა) – 3000 ლარი;

ბ) სათამაშო აპარატების სალონის მოწყობა – 4000 ლარი;

გ) ტოტალიზატორის მოწყობა – 6000 ლარი;

დ) სამორინეს მოწყობა:

დ.ა) საქართველოს მთელს ტერიტორიაზე – (გარდა ქ. ბათუმის და წყალტუბოს ტერიტორიისა) – 5000000 ლარი;

დ.ბ) – ქ. ბათუმის ტერიტორიაზე – 1000000 ლარი;“

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებიდან მე-15 დღეს.